ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4551524

ნომერი: AR1687733

თარიღი : 13.06.2019

გაცემის თარიღი : 19.06.2019

გაცნობის თარიღი : 21.08.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქეთევან წამებული , N 78;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუგზარ ბარბაქაძე პ/ნ 01009011077
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას I კვარტალი, კორპუსი 10, ბინა 21ა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში არსებული სათავსოების ფუნქციის ცვლილება ფართების გეგმარების ცვლილება და აშ. რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებით დამტკიცებული ,,შენობა–ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ ტექნიკური რეგლამენტით.
საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ რომ ვინაიდან 20.01.2017 წ. №3056275 ბრძანებით შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის - გეგმის ნახაზის მიხედვით წარმოდგენილი სარეკონსტრუქციო ფართი გათვალისწინებული იყო ავტოსადგომად, რომელთა რაოდენობა დგინდება შესაბამისი ნორმის მიხედვით და რადგანაც ქალაქში დღეის მდგომარეობით ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების საკითხი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, სამსახურს მისი უფლებამოსილების გათვალისწინებით მიზანშეწონილად არ მიაჩნია ავტოსადგომების რაოდენობის შემცირება და აღნიშნული ფართის ფუნქციის ცვლილება.
ასევე გაცნობებთ რომ ფუნქციის ცვლილება ვერ განიხილება I კლასის რეკონსტრუქციად, რომლის მშენებლობის / მოწყობის სამუშაოები წარმოებს ნებართვის მიღების გარეშე. აღსანიშნავია ის გარემოებაც ,რომ დღეის მდგომარეობით შეცვლილია კანონმდებლობა 2019 წლის 21 მარტის საქართველოს მთავრობის №142 დადგენილებით შეტანილია ცვლილება მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, რომლითაც ობიექტის ფუნქციის ცვლილებისათვის საჭიროა სამი სტადიის გავლა თავიდან .
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 13/06/2019 წლის AR1687733 განაცხადი ვერ დაკმაყოფილდება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.